

**ÓÀÒÀÒÈÄÄËÏ Ó ÐÀÒÈÀÌÁÍÓÉÓ ÌÄÑÌ ÒÉÓÀÒÈÄ ÄÄÒÄÄÉÓ ÌÓÙÄÌ ÁÉÓ ÛÄÓÄÄÄ
ÛÄÒÄÄÄÖËË ÄÄÏÏ ÈËËÄÄÉÓ ÛÄÄÄÄÄÄÉÓ ÄÄÄËËËË**

IV ÒÄÓÍÄË

ÛÄÓÄÄÄËË

ÓÀÌÀÒÈËËÁÍË ÀÒÛÄÄÄÄÄÉÓÄ ÄÄ ÄÄÏÏ ÈÒÄÓÉÉÓ ÓÄÄÒÈÄÛÌ ÒÉÓÌ ÓÄÄÌ ÄÄÄÏ ÄÄÄÌ (ISFED) 2004 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 15 ნოემბრამდე მთელი საქართველოს მასშტაბით განახორციელა ფართომასშტაბიანი პროექტი „ÄÓÖËÖÒË ÏÏ ØÄËÄØÄ – ÄÍÄÄÖËÛÄËÄÄÄÖËË ÄÄËËËÓÓ×ËÄÄÄ“.

პროექტი მიზნად ისახავდა ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულების გაზრდას და სამოქალაქო აქტიურობის ამაღლებას მართვასა და გაღაწვევებილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის გზით.

ISFED-ის მიერ მოცემული პროექტის ფარგლებში განხორციელებული იქნა სხვადასხვა საქმიანობები; მათ შორის კვარტალური გამოკითხვის წარმოება შესაბამის რაიონებში მაკორიგარი დეპუტატების საქმიანობის შესახებ. კითხვარი მიზნად ისახავდა გამოველინა დეპუტატების საქმიანობაში არსებული სირთულეები და დახმარების ის ფორმა, რაც ხელს შეუწყობდა დეპუტატების მიერ თავიანთი საქმიანობის უკეთ განხორციელებას.

დეპუტატების საქმიანობის შემსწავლელი კითხვარები და მათი დანიშნულება არაერთგვაროვნად იქნა აღქმული მაკორიგარ დეპუტატთა მიერ, თუმცა მათმა უმრავლესობამ გამოხატა თანამშრომლობისთვის მზადყოფნა. პროექტის გამოკითხვის პირველ რაუნდში საქართველოს პარლამენტის მაკორიგარ წევრთა დიდმა ნაწილმა (58 დეპუტატმა) მიიღო მონაწილეობა. შემდგომ ეტაპებზე შევსებული კითხვარების რაოდენობამ მცირედით იკლო - მეორე რაუნდში მათი რაოდენობა 53-მდე შემცირდა, ხოლო გამოკითხვის მესამე რაუნდში მხოლოდ 50-მა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა. მცირედი პროგრესი აღინიშნა მეოთხე რაუნდში, რამდენადაც დეპუტატების მიერ შევსებული კითხვარების რიცხვი გაიზარდა და 54 შეადგინა.

კვარტალურმა გამოკითხვებმა ფაქტობრივად მოგვცა საშუალება, რომ ერთსა და იმავე კითხვებზე მიღებული პასუხების ანალიზისა და შედარების გზით მოცემული დროის განმავლობაში დაგვედგინა წინსვლა თუ გაუარესება დეპუტატისა და მისი ბიუროს საქმიანობაში; სწორედ ამიტომ კითხვარის შეკითხვები არ შეცვლილა მთელი პროექტის მანძილზე.

გამოკითხვის შედეგები სხვადასხვა რაუნდების მიხედვით გამოქვეყნდა ანგარიშის სახით და მიეწოდა ფართო საზოგადოებას (პარლამენტის წევრებს, მასმედიას, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს), რითაც მიღწეულ იქნა კითხვარის წარმოების უმთავრესი მიზანი – გამოველინდა ის სირთულეები, რომლებსაც მაკორიგარი დეპუტატები აწყდებიან თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას და, შესაბამისად, იმ დახმარების საჭიროებაც, რომელიც აუცილებელია მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია, რომ კითხვარების შედეგებისა და ანალიზის გამოქვეყნება გარკვეულწილად დაეხმარა მოქალაქეებს მაკორიგარ დეპუტატებთან და მათ ადგილობრივ ბიუროებთან ურთიერთობაში, ასევე დაეხმარა ამ მიმართულებით მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციებს შესაბამისი ინფორმაციით. ამის თქმის საფუძველს იძლევა მაკორიგარი დეპუტატის კითხვარის გამოქვეყნებული მასალა, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

პატივისცემით,

თამარ კვანია

აღმასრულებელი დირექტორი

ISFED

II ÈËÄÅ ÜÄÄÄÄÄÄÄ

გამოკითხვის მეოთხე რაუნდის შედეგებმა გვაჩვენა, რომ მაკორიგარი ღეპუგატები კვლავაც მრავლად აწყლებიან პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლიან მათ მუშაობას ამომრჩევლებთან და ადგილობრივი ბიუროების ეფექტურ ფუნქციონირებას. არსებული პრობლემები შემდეგ კატეგორიებად შეიძლება დაიყოს:

- ა) ადგილობრივი ბიუროების მუშაობა;
- ბ) ურთიერთობა მოქალაქეებთან;
- გ) საპარლამენტო საქმიანობა;
- დ) მუშაობა რაიონებში.

ა) პარლამენტის მაკორიგარი წევრების ადგილობრივი ბიუროების გამართულ მუშაობას ხელს უშლის მწირი დაფინანსება. ოფისების დიდ უმრავლესობაში არ არის კომპიუტერი, რაც, რა თქმა უნდა, ამცირებს მათი მუშაობის ეფექტურობას. იმ ოფისებში, სადაც აქვთ კომპიუტერი, ხშირად არა აქვთ ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალ დონეზე მიუთითებს. გარდა ამისა, ISFED-ის კოორდინატორების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებით ირკვევა, რომ გენერატორის, სხვადასხვა ტექნიკური აღჭურვილობის, ავეჯის და მუშაობისათვის აუცილებელი სხვა პირობების (გათბობა, წყალი) არსებობის შემთხვევაში ბიუროების მუშაობა გაცილებით ეფექტური იქნებოდა.

იმის გათვალისწინებით, რომ ბიუროს თანამშრომლებისათვის გამოყოფილი დაბალი ხელფასები ვერ უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას, მაკორიგართა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობას სხვადასხვა სფეროში.

ბ) ირკვევა, რომ პარლამენტის წევრთა ბიუროების უმრავლესობა მოქალაქეებს ყოველდღიურად იღებს, თუმცა თავად ღეპუგატები მოქალაქეებს იშვიათად ხვდებიან. ღეპუგატების აზრით, ამას კვლავაც ორი ძირითადი მიზეზი განაპირობებს: პარლამენტის მუშაობის განრიგი, რომელიც არ აძლევს ღეპუგატებს საკმარის დროს ამომრჩევლებთან შესახვედრად; და პარლამენტში განხილული კანონების დიდი რაოდენობა. ეს ამცირებს მათი საქმიანობის ნაყოფიერებას კანონშემოქმედებაშიც და მოქალაქეებთან ურთიერთობაშიც, რაც მათ მთავარ მოვალეობებს წარმოადგენს.

გ) გამოკითხვის მეოთხე რაუნდის შედეგებით ღეპუგატების დამოკიდებულება პარლამენტის მუშაობისადმი იგივე რჩება - მათი უმრავლესობა კვლავაც კმაყოფილია პარლამენტის მუშაობით, მაგრამ მათ გამოყვეს რამდენიმე სფერო, რომელშიც პარლამენტმა უნდა გააუმჯობესოს თავისი საქმიანობა. სამწუხაროდ, კიდევ გაიზარდა პარლამენტის სამუშაო დღის წესრიგით უკმაყოფილო მაკორიგარების რაოდენობა. თუმცა თითქმის უცვლელი რჩება იმ ძირითადი საკითხების პრიორიტეტულობა, რომლებიც, ღეპუგატების აზრით, საჭიროებენ გაუმჯობესებას პარლამენტის დღის წესრიგში - ესაა ღეპუგატების მიერ კანონპროექტების განხილვისა და მოქალაქეთა ჩართვისათვის მეტი დროის გათვალისწინება.

დ) მართალია, ღეპუტატთა განცხადების თანახმად, მათ მიერ წამოჭრილი ადგილობრივი ხასიათის პრობლემები უმრავლეს შემთხვევაში მთლიანად ან ნაწილობრივ გადაწყდა, მაგრამ მხოლოდ სამმა ღეპუტატმა აღნიშნა, რომ მათი ინიციატივის შედეგად მოხდა კანონში შესწორებების შეგანა ან ახალი კანონის მიღება, რაც მიანიშნებს, რომ მაჟორიტარი ღეპუტატები პასიურები არიან საკანონმდებლო ინიციატივების წამოყენებაში.

გამოკითხვის წინა რაუნდთან შედარებით, არ შეცვლილა იმ ღეპუტატების რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რაიონში ჩატარებულ საჯარო შეხვედრაში. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სურვილი გამოთქვა, მომავალშიც მიიღოს მონაწილეობა ISFED-ის მიერ მოწყობილ საჯარო შეხვედრებში.

ÌÄÈÌ ÄÏ ÈÏ ÂÉÀ

კითხვარი შეიქმნა სამართლიანი არჩევნებისა და ღემოკრატის საერთაშორისო საზოგადოებისა (ISFED) და ეროვნულ-ღემოკრატული ინსტიტუტის (NDI) მიერ. მეოთხე ეტაპის გამოკითხვა განხორციელდა 2005 წლის 15 ივლისიდან 2005 წლის 15 თქტომბრამდე ISFED-ის რაიონული კოორდინატორების მეშვეობით, რომლებმაც კითხვარის შევსების თხოვნით მიმართეს მაჟორიტარი ღეპუტატების ადგილობრივი ბიუროებს თავიანთ რაიონებში.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტში წარმოდგენილია ერთმანდაგიანი საარჩევნო ოლქებიდან (რაიონებიდან) არჩეული 85 მაჟორიტარი ღეპუტატი. 10 მაჟორიტარი ღეპუტატი აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან არ ყოფილა არჩეული 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებზე და, შესაბამისად, კითხვარები მათ არ შეუვსიათ. გარდა ამისა, 2005 წლის 1 თქტომბრისთვის ჩატარდა შუალედური და ხელახალი საპარლამენტო არჩევნები ხუთ ერთმანდაგიან საარჩევნო ოლქში და, შესაბამისად, გამოკითხვის მეოთხე ეტაპში ვერ მოხვდნენ ისინი, ბათუმის, ქობულეთის, შუახევისა და ტყიბულის მაჟორიტარი ღეპუტატები. ამრიგად, გამოკითხვის მეოთხე რაუნდისთვის საქართველოს პარლამენტში ოფიციალურად ირიცხებოდა 70 მაჟორიტარი ღეპუტატი.

ISFED-ის წარმომადგენლებმა შეკრიბეს 54 შევსებული კითხვარი 70-დან (77%) და წინამდებარე ანალიზიც გაკეთებულია მაჟორიტარი ღეპუტატების ან მათ მიერ უფლებამოსილი ადგილობრივი ბიუროების წარმომადგენლების მიერ გაცემული პასუხების მიხედვით. ყველა პროცენტული მონაცემი გამოთვლილია კითხვარების მე-4 რაუნდში მონაწილე 54 მაჟორიტარ ღეპუტატზე დაყრდნობით.

კითხვარის შევსება სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა 16 რაიონში: აბაშაში, ამბროლაურში, ბაღდათში, ბორჯომში, გუგლიდში, ლაგოდეხში, მარტვილში, მესტიაში, ნინოწმინდაში, ონში, საგარეჯოში, საჩხერეში, ხარაგაულში, ქედაში, ხელვაჩაურსა და ხულოში.

აჭარის რეგიონის 3 რაიონში (ქედა, ხელვაჩაური, ხულო) კითხვარების შეუვსებლობის მიზეზი მეოთხე რაუნდში იგივე იყო - გემოაღნიშნული რაიონების მაჟორიტარი ღეპუტატები პოლიტიკურ თუ სხვა მიზეზთა გამო საქართველოში ოფიციალურად არ იმყოფებიან და არ ახორციელებენ ღეპუტატის ფუნქციებს.

გამოკითხვის არსი და დანიშნულება I, II და III რაუნდების მიმდინარეობისას განემარტა ყველა ღეპუტატს, თუმცა IV რაუნდში კითხვარების არშევსების ძირითადი მიზეზი ისევ გახდა ის ფაქტი, რომ ღეპუტატები რაიონებში არ ჩასულან და ბიუროს წარმომადგენლებმა ვერ მოახერხეს მათთან დაკავშირება, რასაც ადასტურებენ

როგორც ადგილობრივი ბიუროების წარმომადგენლები, ასევე ISFED-ის კოორდინატორებიც.

ΑΙΛΕΞΕ

1. ΠΕΘΕΑΑΕ ΕΙΧΙ ΟΙΑΥΕΑ

კითხვარი შეავსო პარლამენტის მაჟორიტარი წევრების 77 პროცენტმა (54 დეპუტატი 70-დან). მეოთხე რაუნდში მესამესთან შედარებით 4-ით მეტმა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა.

2. ΑΔΘΘΑΘΑΑΕΘ ΑΑΑΕΕΪΑΘΕΑ ΑΕΘΘΪΑΑΕΑΪ ΑΑ ΙΑΕ ΘΑΪΘΥΑΪ ΔΕΘΪΑΑΑΕΑΪ ΑΑΕΑΑΪΘΕΘΑΑΘΕΕ ΕΕΕΑΑΑΕ

გამოკითხულ დეპუტატთა ინფორმაციით ადგილობრივი ბიუროების 100% ფუნქციონირებს, დეპუტატების 94% აცხადებს, რომ ხელისუფლებამ მათ ღრუობა გამოუყო შენობა ბიუროსათვის. მხოლოდ დეპუტატთა მცირე რაოდენობას შეეძინა პრობლემები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საოფისე ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით.

დეპუტატთა 70% თავის სამუშაო პირობებს აფასებს, როგორც ნორმალურს, 20% კი ფიქრობს, რომ მათი სამუშაო პირობები კარგია. მხოლოდ დეპუტატთა მცირე რაოდენობა, 4% არის უკმაყოფილო სამუშაო პირობებით. დეპუტატთა 81% თვლის, რომ მათი სამუშაო პირობები გაუმჯობესებას საჭიროებს.

დეპუტატთა 50%-ს მიაჩნია, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან ბიუროსათვის გამოყოფილი თანხები არის საკმარისი, ხოლო 41% ფიქრობს რომ ბიუჯეტიდან ბიუროსათვის გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი. 50% თვლის, რომ მათი ოფისების მუშაობის ეფექტურობა გაიზარდა, მეტი თანამშრომელი რომ ჰყავდეთ; 89% კი ფიქრობს, რომ ბიუროს მუშაობის ეფექტურობა გაიზარდა, მათ თანამშრომლებს უფრო მაღალი ხელფასები რომ ჰქონდეთ.

ადგილობრივი ბიუროების 61%-ის პერსონალი სამზე მეტი თანამშრომლისაგან შედგება. დეპუტატთა 85%-ს მიაჩნია, რომ მათ თანამშრომლებს მეტი ცოდნის მიღება სჭირდებათ თავიანთი ვალდებულებების უკეთ შესასრულებლად. 48% ფიქრობს, რომ საჭიროა თანამშრომლების ცოდნის დონის ამაღლება კვლევის სფეროში, 41% კი პრიორიტეტულად საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში მათ განათლებას მიიჩნევს.

ადგილობრივი ბიუროების 61%-ში არ არის კომპიუტერი, 37%-ში კი ერთი ან ორი კომპიუტერია. ბიუროების 78%-ს ხელი არ მიუწვდება ინტერნეტზე და 63%-ს არა აქვს ელექტრონული მისამართი, რომლითაც მოქალაქეებს შეეძლება მათთან ურთიერთობა.

მაჟორიტართა 15% თვეში 1-2 დღეს მუშაობს თავის ბიუროში, 24% - 3-5 დღეს, 20% - 6-10 დღეს, 41% კი - 10-14 დღეს.

ΥΑΑΑΑΑΑΕ: გამოკითხვის პირველი, მეორე და მესამე რაუნდის შემდეგ არაფერი შეცვლილა პარლამენტის მაჟორიტარი წევრების ადგილობრივი ბიუროების დაფინანსებაში - სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბიუროსათვის გამოყოფილი თანხა

კვლავინდებურად თვეში 250 ლარს შეადგენს. მიუხედავად იმისა რომ დეპუტატთა უმრავლესობა საკმარისად მიიჩნევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბიუროსათვის გამოყოფილ თანხას, სიგუაციის ღრმა ანალიზმა და ბიუროების არაეფექტურმა მუშაობამ დაგვანახა, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ძალზედ მცირეა, არ არის საკმარისი პერსონალის ხელფასებისა და ოფისის ტექნიკური აღჭურვილობისთვის და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს საჭირო პირობებით ბიუროს ფუნქციონირებას.

ბიუროების უმრავლესობას არ აქვს კომპიუტერი, რაც ხელს უშლის მათ ეფექტურ საქმიანობას. უფრო მეტიც, იმ ოფისების უმრავლესობას, სადაც არის კომპიუტერი, ხელი არ მიუწვდება ინტერნეტსა და ელექტრონულ ფოსტაზე. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე ხელს უშლის თანამშრომლების მიერ კვლევების წარმოებას და ბიუროს მუშაობის საერთო ეფექტურობას.

ასევე, პრობლემას ქმნის ბიუროში მომსახურე პერსონალის არაშესაბამისი კვალიფიკაცია. ბიუროს თანამშრომლებისათვის გამოყოფილი დაბალი ხელფასები ამცირებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ეფექტურობას და ხარისხს. მწირი დაფინანსების გამო ვერ ხერხდება მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, რის გამოც მოკორიგარ დეპუტატთა უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევს ბიუროს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას სხვადასხვა სფეროში (კვლევა, საზოგადოებათან ურთიერთობა, ბუღალტერია, საოფისე საქმიანობა, და სხვა). წინა რაუნდებისაგან განსხვავებით უფრო მეტი დეპუტატი თვლის საჭიროდ მათი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას კვლევის სფეროში ვიდრე საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში. A

მეოთხე რაუნდში მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ დეპუტატები კვლავაც აგრძელებენ რეგულარულ მუშაობას თავიანთ ადგილობრივ ბიუროებში. თუმცა საკმაოდ უცნაურია, თუ როგორ ახერხებს დეპუტატთა 41% ადგილობრივ ბიუროებში 10-14 დღე მუშაობას, თუ გავითვალისწინებთ პარლამენტის ძალზედ ინტენსიური მუშაობის განრიგს და ასევე, იმ რეალობას, რომ ზოგიერთი რაიონი თბილისიდან საკმაოდ შორსაა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ უმრავლესი რაიონებიდან მოქალაქეები გამოხატავენ უკმაყოფილებას მაკორიგარი დეპუტატის რაიონში იშვიათი ვიზიტის გამო.

3. *Ἰὶ ὀαἲἄθῶἰἄἲ ὀἰἲἲἰἰἰ ἰἰ*

მაკორიგართა 94%-მა განაცხადა, რომ მათ განსაზღვრული აქვთ მოქალაქეთა მიღების საათები, 6%-ს კი – არა. პასუხების მიხედვით, დეპუტატთა 59% მოქალაქეების მიღებას უთმობს თვეში 5 დღეზე მეტს, ხოლო 41% - 5 დღეზე ნაკლებს. დეპუტატთა 50% იღებს თვეში 50-ზე მეტ მოქალაქეს, სხვები კი უფრო ნაკლებს.

მაკორიგარი დეპუტატების 96% იღებს მოქალაქეებისაგან წერილებსა და საჩივრებს. ორმა დეპუტატმა ამ კითხვას არ უპასუხა. გამოკითხულთა 100% რეაგირებს საჩივრებზე და ითხოვს პასუხს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან და სამსახურებიდან. დეპუტატთა 48% აწყდება პრობლემებს პასუხის მოთხოვნისას, 48% კი - არა. ორმა დეპუტატმა ამ კითხვას არ უპასუხა. იმ დეპუტატების უმრავლესობამ, რომლებიც აწყდებიან პრობლემებს, განაცხადა, რომ სახელმწიფო ორგანოები ღროზე არ აწვდიან მათ პასუხებს ან ზოგჯერ გაურკვეველია, რომელ ორგანოს ევალება საკითხის მოგვარება.

დეპუტატთა 100% მოქალაქეებს აცნობებს შესაბამისი სახელმწიფო ინსტანციებიდან მიღებულ პასუხებს მათ წერილებსა და საჩივრებზე. დეპუტატთა 91% ამას აკეთებს შეხვედრებზე, 65% - ტელეფონის საშუალებით, 44% - ფოსტის საშუალებით, ხოლო ერთი დეპუტატი კი ამ მიზნისათვის ელექტრონულ ფოსტას იყენებს.

ოპინიონი: პირველ, მეორე და მესამე რაუნდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ლეპუგატთა რაოდენობა, რომლებსაც მოქალაქეთა მიღებასათვის აქვთ განსაზღვრული ღრძ, რაც მისასაღმებელია. მესამე რაუნდთან შედარებით 4%-ით გაიზარდა იმ ლეპუგატების რიცხვი რომლებსაც მოქალაქეთა მიღებისათვის აქვთ განსაზღვრული ღრძ, 3%-ით კი იმ ლეპუგატების რაოდენობა რომლებიც 5 ღღმე მეტს უთმობენ მოქალაქეთა მიღებას. სახემეა აქტიურობის მეგნაკლები ზრდა მოქალაქეებთან ურთიერთობის კუთხით

მნიშვნელოვნად შემცირდა იმს ლეპუგატების რიცხვი რომლებიც აწყლებიან პრობლემებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისას. მესამე რაუნდთან შედარებით მათი რიცხვი 10%-ით შემცირდა, რაც ასევე დაღებითი მოვლენაა. ამის მიუხედავად, მაინც ღღია იმ ლეპუგატების რიცხვი, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებიდან პრობლემებს აწყლებიან, რაც ძირითადად გამოიხატება პასუხის დაგვიანებაში ან კიღვე მათი მიმართვის სრულ იგნორირებაში. გამოკითხვის ყველა ეტაპის შეღეგებმა აჩვენა, რომ სახელმწიფო სტრუქტურების არაკომპეგენგური მუშაობა ხელს უშლის მაჟორიტარ ლეპუგატებს მოქალაქეების წინაშე თავიანთი მოვალეობების შესრულებაში.

4. ოპინიონი იმის შესახებ

ლეპუგატთა 74% კმაყოფილია პარლამენტის მუშაობით, ხოლო 26% - არა. ლეპუგატთა 19% თვლის რომ პარლამენტის მუშაობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ლეპუგატებს ჰქონღეთ შემღგომი განათლების და პროფესიული ზრღის მეტი შესაღღებლობა, 17% თვლის რომ პარლამენტის მუშაობის გაუმჯობესება შესაღღებელია კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესებით, 15% თვლის, რომ - უფრო კვალიფიციური კაღრებით, 13% - უკეთესი გეგნიკური აღჭურვიღობით.

პარლამენტის მაჟორიტარ წევრთა 69% კმაყოფილია პარლამენტის სამუშაო ღღის წესრიგით, 31% კი უკმაყოფილოა. ლეპუგატთა 31% თვლის, რომ პარლამენტის ღღის წესრიგის გაუმჯობესება შესაღღებელია ლეპუგატების მიერ განხიღვისათვის მეტი ღრღის გამოყოფით, 17% კი - მოქალაქეთა ჩართვისა და საჯარო განხიღვისათვის მეტი ღრღის დათმობით.

ლეპუგატთა 59% ფიქრობს, რომ პარლამენტისათვის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენღეს აღგიღობრივი მმართვეღობისა და თვითმმართვეღობის შესახებ კანონის მიღება, 25%-ს ასეთად გერიგორიულ-აღმინისგრაციული მოწყობის შესახებ კანონის მიღება მიაჩნია. ლეპუგატების ნაწიღი ღღიდ მნიშვნეღობას ანიჭებს ასევე ზოგადი განათლების შესახებ კანონის და საგაღასახაღო კოღექსის მიღებას.

ლეპუგატთა 89%-მა აღნიშნა, რომ მათ რაიონში წამოჭრიღი პრობლემა დაუსვამთ საპარლამენტო განხიღვაზე. 64%-ის განცხაღებით, მათ მიერ წამოჭრიღი პრობლემა ნაწიღობრივ ან მთღიანად გადაწყდა, ხოლო 15% ამგკიცებს რომ პარლამენტის მხრიდან რეაგირება არ ყოფიღა. 6%-ის მგკიცებით მათი ინიციატივის შემღევ კანონში შევიღა ცვლიღებები ან მიღებულ იქნა ახაღი კანონი.

ლეპუგატთა 78% ფიქრობს, რომ ღამაგებითი სწავლება დაეხმარებათ მუშაობაში. 36%-ს ცოღნის ამაღლება სურს კვლევით სფეროში.

ოპინიონი: გამოკითხვის პირვეღი, მეორე და მესამე რაუნღის შემღევ ფაქტობრივად არ შეცვლიღა ლეპუგატების ღამოკიღებუღება პარლამენტის მუშაობისაღმი - მათი

უმრავლესობა კვლავაც კმაყოფილია პარლამენტის მუშაობით. თუმცა, აღნიშნავენ მისი გაუმჯობესების გზებსაც – წინა რაუნდებისაგან განსხვავებით, მეოთხე რაუნდში დეპუტატების შემდგომი განათლების მეტი შესაძლებლობა პარლამენტის მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთ პოპულარულ გზად მიიჩნევა; წინა რაუნდებისაგან განსხვავებით მეოთხე რაუნდში დეპუტატების მიერ კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესება უფრო პრიორიტეტულად დასახელდა, ვიდრე უკეთესი ტექნიკური აღჭურვილობა.

წინა რაუნდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა პარლამენტის სამუშაო დღის წესრიგით კმაყოფილი დეპუტატების რაოდენობა და 9%-ით შემცირდა უკმაყოფილო დეპუტატების რაოდენობა.

უცვლელი რჩება იმ ძირითადი საკითხების პრიორიტეტულობა, რომლებიც, დეპუტატების აზრით, პარლამენტის დღის წესრიგში საჭიროებენ გაუმჯობესებას. ესაა დეპუტატების მიერ კანონპროექტების განხილვისა და მოქალაქეთა ჩართვისათვის მეტი დროის გათვალისწინება.

აღსანიშნავია, რომ ძველებურად აქტუალურია კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ასევე დიდ ყურადღებას იმსახურებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი.

მეოთხე რაუნდში დეპუტატთა 64%-მა განაცხადა, რომ მათ მიერ წამოჭრილი ადგილობრივი ხასიათის პრობლემები მთლიანად ან ნაწილობრივ გადაწყდა. ეს პრობლემები შეეხებოდა რაიონების ინფრასტრუქტურის განვითარებას, ბუნებრივი აირით, ელექტროენერჯითა და წყლით მომარაგებას, ადგილობრივ ბიუჯეტს, სტიქიით დაზარალებულთა დახმარებას, მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას და ა. შ. სამწუხაროდ, მხოლოდ სამმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ მათი ინიციატივის შედეგად მოხდა კანონში შესწორებების შეგანა ან ახალი კანონის მიღება, რაც მიანიშნებს, რომ მაკორიგარი დეპუტატები პასიურები არიან საკანონმდებლო ინიციატივების წამოყენებაში.

წინა რაუნდებთან შედარებით თითქმის იგივეა იმ დეპუტატების რაოდენობა, რომელთაც სურვილი აქვთ მიიღონ დამატებითი განათლება. პრიორიტეტულად კვლავ კვლევითი სფერო რჩება.

5. ოპიქ იქე იოუაქ აა

დეპუტატად არჩევის შემდეგ 94%-ს მონაწილეობა აქვს მიღებული საჯარო შეხვედრებში.

დეპუტატთა 69%-მა მონაწილეობა მიიღო რაიონში ჩატარებულ კანონპროექტის განხილვაში. 46% ამბობს, რომ მოქალაქეებიდან წამოსული ინიციატივა გათვალისწინებულ იქნა კანონში, ხოლო 34% აცხადებს, რომ არ იქნა გათვალისწინებული. 20%-მა ამ კითხვას არ უპასუხა. განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია საგადასახადო კოდექსი, საარჩევნო კოდექსი, კანონი ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ, კანონი მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, კანონი მიწის პრივატიზაციის შესახებ.

დეპუტატთა 98%-მა მიმართა ადგილობრივ თვითმმართველობას ადგილობრივი პრობლემის გადაჭრის მიზნით. 89% აცხადებს, რომ თვითმმართველობამ გამოიჩინა სათანადო ყურადღება დასმული საკითხისადმი, 7% კი ამბობს, რომ - არა.

ÜÄÄÄÄÄÄ: მესამე რაუნდთან შედარებით ცვლილება არ განუცდია იმ დეპუტატების რაოდენობას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რაიონში ჩატარებულ კანონპროექტის საჯარო განხილვაში.

მესამე რაუნდთან შედარებით 3%-ით გაიზარდა იმ დეპუტატთა რაოდენობა, რომელთაც მონაწილეობა აქვთ მიღებული რაიონში ჩატარებული კანონპროექტის განხილვაში. ეს მიგვანიშნებს, რომ დეპუტატები, მართალია მცირედით, მაგრამ მაინც უფრო აქტიურად ასრულებენ თავიანთ საპარლამენტო მოვალეობას, კერძოდ, კანონპროექტებში მოქალაქეთა აზრის ჩართვას და გათვალისწინებას. მესამე რაუნდთან შედარებით 2%-ით შემცირდა იმ დეპუტატთა რაოდენობა, რომელთაც განაცხადეს, რომ მოქალაქეებიდან წამოსული ინიციატივა გათვალისწინებულ იქნა კანონში.

2%-ით გაიზარდა იმ დეპუტატთა რაოდენობა რომლებიც თანამშრომლობენ ადგილობრივ თვითმმართველობებთან. 3%-იანი მრდა დაფიქსირდა დეპუტატთა რაოდენობაში, რომელთაც განაცხადეს, რომ თვითმმართველობამ გამოიჩინა სათანადო ყურადღება დასმული საკითხისადმი.

ÖÄËÏ ÌÄÏÄÏÏÄÄÄ: გამოკითხვის მეოთხე რაუნდის შემდეგ ირკვევა, რომ მაკორიგარ დეპუტატთა გამოკითხვის I, II და III რაუნდის ანალიზისას ჩვენი ორგანიზაციის მიერ გამოთქმული შენიშვნები არ იცვლება. ფაქტობრივად, კვარტალური გამოკითხვების წლიური შედეგი ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ეტაპებზე მნიშვნელოვანი ცვლილებები დეპუტატებისა და ამთი ბიუროების ფუნქციონირების თვალსაზრისით არ მომხდარა. წარმოდგენილი რეკომენდაციები ისევე აქტუალურია და იმსახურებს ყურადღებას გათვალისწინების თვალსაზრისით.

მაკორიგარი დეპუტატების ადგილობრივ ბიუროებში სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეტი სახსრების გამოყოფა. ყველა ბიუროში უნდა იყოს მინიმუმ ერთი კომპიუტერი, საბეჭდი მანქანა, ფაქსი და გენერატორი. ოფისის მდგომარეობა არც დეპუტატის პირად ქონებაზე და არც ადგილობრივ თვითმმართველობასთან მის პირად ურთიერთობებზე უნდა იყოს დამოკიდებული. ყველა ოფისი უნდა აკმაყოფილებდეს მინიმალურ სტანდარტს, რომელსაც დააფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი. ამით ყველა დეპუტატს ექნება მეტნაკლებად თანაბარი საშუალება საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად. გარდა ამისა, ბიუროს პერსონალისათვის უფრო მაღალი ხელფასების გამოყოფა და ტრენინგები გაზრდიდა მათი მუშაობის ეფექტურობას, ასევე ყურადღებას დეპუტატთა შემდგომი განათლების საკითხიც.

პარლამენტის ყველა მაკორიგარ წევრს უნდა ჰქონდეს გამოყოფილი დრო მოქალაქეების მისაღებად და ადგილობრივმა ბიუროებმა ყველა ხელმისაწვდომი საშუალების გამოყენებით (ადგილობრივი ტელევიზია, რადიო, გაზეთი, საინფორმაციო ფურცლები და ა. შ.) უნდა აცნობონ მოსახლეობას, როდის და სად შეუძლიათ შეხვდნენ თავის მაკორიგარს. იმისათვის, რომ ხელი შევეუწყოთ დეპუტატების რეგულარულ ურთიერთობას მოქალაქეებთან, აუცილებელია განხილულ იქნას პარლამენტის მუშაობის გრაფიკის შეცვლის საკითხი. მაგალითად, პარლამენტს შეუძლია რამდენიმე თვით ადრე განსაზღვროს სესიების განრიგი და ღდის წესრიგი. გარდა ამისა, თუ საპარლამენტო კომიტეტები განსაზღვრავენ მუსგ დროს მოსმენებისა და სხდომებისათვის არასასესიო კვირის დასაწყისში ან ბოლოს, მაკორიგარ დეპუტატებს მეტი დრო ექნებათ თავიანთ რაიონებში ჩასასვლელად. შესაძლებელია ასევე, ამომრჩევლებთან შეხვედრისთვის დადგინდეს შაბათი ღღე, როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი დეპუტატი. ზემოთ ჩამოთვლილი პირობები ასევე ითვალისწინებს მეტი

ღროს ღათმობას ღეპუტატების მიერ საკითხების განხილვისა და მოქალაქეთა ჩართვისათვის.